სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 14

ქ. ბათუმი თებერვალი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ -ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პაატა მუხაშავრიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბაინდერი“ მისი დირექტორის გიორგი ნაკაშიძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საჭიროებისათვის საკანცელარიო და სამეურნეო ნივთების მოწოდება (CPU 19600000: 22800000; 30100000; 33700000; 39200000; 39500000; 39800000; 44400000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1 782,70 (ათას შვიდას ოთხმოცდაორი და სამოცდა-ათი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება `მიმწოდებელს“.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუ-ხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება `მიღება-ჩაბარების“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2.ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების” აქტი, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 5.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.4. „მიღება–ჩაბარების” აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნა-დების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს ,,შემსყიდველს” უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6.1.2. დროულად განიხილოს ,,შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა მიღება–ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. მხარეთა უფლებები

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და შესაბამისობის კონტროლი;

7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

8.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელიასახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუს-რულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,03 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. დამატებითი პირობები

14.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2022 წლის 17 თებერვლიდან 2022 წლის 22 თებერვლამდე

14.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 01 აპრილამდე

15. დასკვნითი დებულებები

15.1.თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

15.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 3 (სამ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.4.ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან" 2 ეგზემპლარი `შემსყიდველთან".

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	**შპს „ ბაინდერი "**
მისამართი: ზ. გორგილაძის/ვ.ფშაველას 19/32	**მისამართი:** ქ. ბათუმი, აღმაშენებლის 21
საიდენტიფიკაციოკოდი: 245628496	**ტელეფონი:** 558 691 421
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	**საიდენტიფიკაციო კოდი:** № 448412227
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	**საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. ,,პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი TRESGE22	**საბანკოკოდი: MIBGGE22**
სახაზინო კოდი 708897520	**ანგარიშსწორების ანგარიში:** GE05PC0033600100054706
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: პ. მუხაშავრია	დირექტორი: გიორგი ნაკაშიძე

Paata Mukhashavria 61003008861

Digitally signed by Paata Mukhashavria
Date: 2022.02.17 15:34:48

თებერვალი 2022 წელი

ფორმა №3

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი	CPV
1	კალენდარი მაგიდის ზამბარით	ცალი	8	4,00	32,00	30199792
2	კალკულატორი	ცალი	2	28,50	57,00	30141200
3	მარკერი შავი	ცალი	24	1,00	24,00	30195700
4	კონვერტი ა4	ცალი	30	0,25	7,50	30199230
5	კონვერტი ა5	ცალი	30	0,20	6,00	30199230
6	კონვერტი ა6	ცალი	30	0,10	4,50	30199230
7	სტეპლერის გული N10	ცალი	10	0,50	5,00	30197100
8	სტეპლერი	ცალი	5	2,50	12,50	30197100
9	ქლორი 1 ლ ACE	ცალი	10	3,50	35,00	39830000
10	ტილო 10 ცალიანი	შეკვრა	10	5,00	50,00	39510000
11	საკანცელარიო შპილკა 25 მმ	ცალი	24	0,15	3,60	30193900
12	საკანცელარიო შპილკა 15 მმ	ცალი	36	0,10	3,60	30193900
13	საკანცელარიო შპილკა 19 მმ	ცალი	36	0,15	5,40	30193900
14	კალენდარი	ცალი	6	5,00	30,00	30199792
15	სკოჩი	ცალი	6	1,40	8,40	44424200
16	სკოჩი პატარა	ცალი	3	0,30	0,90	44424200
17	საკანცელარიო დანა	ცალი	5	1,50	7,50	30192700
18	კალამი	ცალი	36	0,70	25,20	30192121
19	კალამი	ცალი	48	0,70	33,60	30192121
20	ფაელი	ცალი	10	6,00	60,00	22852100
21	იატაკის საწმენდი ტილო	ცალი	15	6,00	90,00	39510000
22	პაპკა- ლეიცი	ცალი	180	0,50	90,00	22852000
23	ბრძანების რეგისტრაციის წიგნი	ცალი	2	12,00	24,00	22814000
24	ბაინდერი	ცალი	50	5,00	250,00	22851000
25	ბლოკნოტი	ცალი	5	11,80	59,00	22816100
26	ჩასანიშნი ფურცელი (წებოვანი)	ცალი	10	4,50	45,00	22816300
27	ჩასანიშნი ფურცელი	ცალი	10	4,00	40,00	22816300
28	ჟელე	ცალი	5	1,50	7,50	39831000
29	მინის საწმენდი სითხე	ცალი	10	3,00	30,00	39830000
30	თხევადი საპონი 5ლიტ.	ცალი	4	12,00	48,00	33700000
31	მინის საწმენდი ტილო	ცალი	15	2,70	40,50	39510000
32	ტუალეტის ქაღალდი ჯუმბო	ცალი	60	3,50	210,00	33761000
33	ქაღალდის ხელსახოცი	ცალი	60	3,50	210,00	33761000
34	ვედრო დასუფთავების კომპლექტ.	ცალი	1	30,00	30,00	39224330
35	პოლიეთილენის პარკი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის	ცალი	50	1,70	85,00	19640000
36	ღრუბელი 5 ცალიანი	ცალი	2	2,00	4,00	39224320
37	აქანდაზი ცოცხით	ცალი	6	18,00	108,00	39224100
					1 782,70	

შემსყიდველი:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი: პ. მუხაშავრია

Paata Mukhashavria 61003008861

Digitally signed by Paata Mukhashavria
Date: 2022.02.17 15:38:08

მიმწოდებელი:

შპს ბაინდერი“

დირექტორი: გიორგი ნაკაშიძე